

საქართველოს კანონი

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №21-22, მუხ. 463) შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კანონი საავტომობილო გზების შესახებ განსაზღვრავს საავტომობილო გზების სახეობებსა და სტატუსს.

ეს კანონი აწესებს საავტომობილო გზების მფლობელთა და მოსარგებლეთა, აგრეთვე საგზაო-საინჟინრო ნაგებობების მფლობელ ორგანიზაციათა გზებით სარგებლობისა და დაცვის წესებს, გზათსარგებლობის (ინფრასტრუქტურის უტილიზაციის) საფასურის ოდენობას და გადახდის წესს, მოთხოვნებს საავტომობილო გზების მოწყობილობისადმი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ყველა მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე.“.

2. მე-14 მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„4. ამ კანონით დადგენილი საფასური გამოიყენება სატრანზიტო ინფრასტრუქტურის უტილიზაციისათვის“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14¹-მე-14⁴ მუხლები:

„მუხლი 14¹. გზათსარგებლობის საფასურის ცნება და გადამხდელები

1. გზათსარგებლობის საფასური (შემდგომში - საფასური) არის სავალდებულო გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც გადაიხდება

საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ინფრასტრუქტურის უტილიზაციისათვის.

2. საფასურის გადამხდელი არის პირი, რომელიც წარმოადგენს სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს/მძღოლს და ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებით ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებას/ტვირთების გადაზიდვას საბაჟო კონტროლის/ზედამხედველობის ქვეშ.

მუხლი 14². საფასურის განაკვეთები და გადახდის წესი

1. საფასურის ოდენობას, მის გადახდასთან დაკავშირებული პროცედურები და წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

მუხლი 14³. საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება

1. ამ კანონით დადგენილი საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება ამ კანონის 14¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირი, რომელიც სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს საზღვაო ნავსადგურებში არსებული საბაჟო გამშვები პუნქტის (საბაჟო საგუშაგოს) ტერიტორიაზე განთავსებული ტვირთის გადაადგილებას საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიიდან უახლოესი 10 კმ-ის რადიუსში მდებარე საბაჟო კონტროლის ზონაში ან პირიქით.

მუხლი 14⁴. საფასურის ადმინისტრირება და პასუხისმგებლობა

1. დაუშვებელია საფასურის გადახდის გარეშე საბაჟო კონტროლის/ზედამხედველობის ქვეშ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება/ტვირთის გადაზიდვა.

2. საფასურის ადმინისტრირებას ახორციელებს მთავრობის მიერ დადგენილი უფლებამოსილი ორგანო.

3. საფასურის გადახდის გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადადგილება/ტვირთის გადაზიდვა საბაჟო კონტროლის/ზედამხედველობის ქვეშ იწვევს სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელის/მძღოლის დაჯარიმებას – დადგენილი საფასურის სამმაგი ოდენობით.

4. ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2. საქართველოს მთავრობამ, ამ კანონის გამოქვეყნებიდან მე-15 დღემდე უზრუნველყოს საფასურის გადახდის, გადახდის დადასტურების და აგრეთვე მის გადახდასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების და პირობების განსაზღვრა.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი